# სარბიელი უხმობს ფალავნებს

**დღეს** საქართველოს ასობით საჭიდაოზე ახმიანდება დოლი, აჰყვიტინდება ზურნა. ჩვენი ეროვნული სიამაყის — ქართული ჭიდაობის მოყვარულნი და ქომაგნი წრედ შემოერტყმევიან ნახერხმოყრილ არენას და თვალს დაიტკბობენ, გულს გაიხარებენ ჯანმაგარი ბიჭუნებისა და ჭაბუკების ცქერით, საჭიდაოზე უთუოდ მოსინჯავენ ძალას, ჯეელობას გაიხსენებენ ხნოვანი კაცებიც, ისინი, ვისაც ჯერ კიდევ ერჩით გული...

საქართველოს სპორტკომიტეტის ინიციატივით შემოღებულ ქართული ჭიდაობის ამ დღესასწაულს არ შეიძლება სასიკეთო შედეგი არ მოჰყვეს. თუმცა, ესეც ჩვენზეა დამოკიდებული. ზეიმი ზეიმად, მაგრამ თუ გვინდა, რომ ჭიდაობას ჩვენში ისეთივე მაგარი და ღრმა ფესვები შერჩეს, თუ გვინდა, რომ მსოფლიოს საჭიდაოებზე გამარჯვების ნიშნად მომავალშიც ხშირად აღმართონ ქართველი კაცის ხელი, ამ მართლაცდა კარგ წამოწყებას ყველამ უნდა დავუჭიროთ მხარი, ყველა სოფელში, ყოველ შაბათ-კვირას ნახერხმოყრილ პატარა არენებს არ უნდა მოაკლდეს ხალხი, მგლისმუხლა ბიჭები, დოლი და ზურნა.

**დღეს კი, სახიკეთო ტრადიციის ბალავარის დადების პირველ დღეს, ყველას, ქალებსა და კაცებს, ბიჭებსა და გოგონებს, ქალაქელებსა და სოფლელებს, ყველას გიწვევთ საჭიდაოზე!**

●

ნუ დავკარგავთ საუნჯეს

## ჭიდაობა ჩვენი, ქართული


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 180 (7491)

18 1983 წ. სექტემბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## გაიმართება დღეს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში




● ჭადრაკი

## კარგად დაამთავრა

**ნონა გაფრინდაშვილმა** ვადამდე გაიმარჯვა ესპანეთის ქალთა საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც აგარაკი პლაია დეაროში მასპინძლობს. VIII ტურში ქართველმა დიდოსტატმა სძლია ფრანგ ტაინონს და 7,5 ქულით I ადგილი გაინაღდა.

დიდოსტატმა პ. კრამლინგმა (შვეცია) წინასწარ ითამაშა IX ტურის პარტია და 7 ქულით დაამთავრა შეჯიბრება. მისი დაწევა შეუძლია მხოლოდ დიდოსტატ მ. მურეშანს (რუმინეთი), რომელსაც 8 ტურის შემდეგ 6 ქულა აქვს.

IX ტურში ნ. გაფრინდაშვილი შეხვდება ესპანელ ოსტატ ა. გარსიას.

სწორუპოვარმა ქართველმა მოჭადრაკე ქალმა თავისი ახალი წარმატება დაამთხვია იმ დღეებს, როდესაც მას 1982 წლის საუკეთესო მოჭადრაკე ქალის უმაღლესი ჯილდო — საჭადრაკო ოსკარი უნდა გადასცენ. გადაცემის ცერემონიალი მოეწყობა 19 სექტემბერს ბარსელონაში, საჭადრაკო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის შტაბ-ბინაში.

ნ. გაფრინდაშვილი 24 სექტემბრამდე დარჩება ესპანეთში, სადაც ერთდროული თამაშის სეანსებს გამართავს.

(საქ. ინფ.)

## მაღალი შედეგები

**სსრ კავშირის** სპორტკომიტეტის მასობრივ-ილუსტრირებულმა სპორტულ-მეთოდურმა ჟურნალმა „64—შახმატნოე ობოზრენიემ" აგვისტოს (№ 15) ნომერში შეაჯამა ეტიუდისტთა კონკურსი, რომელიც 1981 წელს ჩაატარა ამ ჟურნალმა.

კონკურსში მონაწილეობდა 30 ავტორი. მათთვის დაწესებული იყო სამ-სამი პრიზი, სპეციალური პრიზი, საპატიო და საქები შეფასება. კონკურსს მსაჯობდა საერთაშორისო ოსტატი დ. გურგენიძე (საგარეჯო).

შეჯიბრებაში დიდი წარმატებით გამოვიდნენ ქართველი ეტიუდისტები. **I პრიზი მიიღო გ. ნადარეიშვილმა, III — ვ. კალანდაძემ, III სპეციალური პრიზი — რ. თავარიანმა და III საპატიო შეფასება — ვ. ნეიძემ.**

ყველა დაჯილდოებული ეტიუდი ჟურნალში დაიბეჭდა.





## გუშინ...

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ვეტერან ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩი. ანგარიშით 5:1 გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. მოპაექრე გუნდები ამ შემადგენლობებით გამოვიდნენ მინდორზე. უნგრეთი: ი. გეზი, ლ. ხორკატი, ლ. მიროში, ლ. ცაკი, ი. შალანონი, ი. სომოში, ზ. გუტკაი, ლ. სურგენტი, მ. ფენვეში, ი. ნადი, ი. მატე, ფ. სიმორა. საბჭოთა კავშირი: ს. კოტრიკაძე, რ. ძოძუაშვილი, ვ. ბუტურლაკინი, ი. ნეტო, ვ. პაპაევი, გ. იარცევი, ნ. ოსიანინი, ე. სტრელცოვი, ა. მაქსიმენკოვი, მ. გერშკოვიჩი, ვ. ვერემეევი, ი. საბო, ვ. კოლოტოვი, მ. ხურცილავა, მ. მ. მაჩაიძე, მ. როზინსკი, ს. მეტრეველი, ვ. პონედელნიკი.

საბჭოთა ფეხბურთელთაგან გოლები გაიტანეს: ი. საბომ, მ. მაჩაიძემ, ვ. ვერემეევმა, ა. მაქსიმენკოვმა (2), უნგრელთაგან ი. სომოშმა.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდება პერსპექტიული ბავშვების შესარჩევი შეჯიბრება მძლეოსნობაში

**19-20 სექტემბერი.** გლდანის რაიონი. „ლოკომოტივის" სტადიონი.

**19-20 სექტემბერი.** გლდანის რაიონი. „სინათლის" სტადიონი (ავჭალის გზატკეცილზე).

**21-22-23 სექტემბერი.** 1 მაისის რაიონი. ლენინის სახელობის სტადიონი (ორჯონიკიძის ქუჩაზე).

**22-23 სექტემბერი.** ორჯონიკიძის სახელობის რაიონი. „ლოკომოტივის" სტადიონი (ამავე დღეებში აქვე ჩატარდება შესარჩევი შეჯიბრება საბურთალოს რაიონის ბავშვებისთვის).

**24-25-26-27 სექტემბერი.** ოქტომბრის რაიონი. ლენინის სახელობის სტადიონი.

**25-26 სექტემბერი.** კიროვის რაიონი. 153-ე საშუალო სკოლის ტერიტორია.

**28-29 სექტემბერი.** საქარხნო რაიონი. სტადიონი „პიონერი".

**შესარჩევი შეჯიბრებები ყველა ზემოხსენებულ სტადიონზე დაიწყება 10 საათზე, სალამოთი 16 საათზე.**

სასურველია, რომ ამ შეჯიბრებებზე გამოცხადდნენ ძირითადად IV-V კლასის მოსწავლეები, როგორც ბიჭები, ისე გოგონები. რა თქმა უნდა, შეჯიბრებებში მიიღებენ მონაწილეობას შედარებით უმცროსებიც და უფროსებიც. მწვრთნელები მათგანაც შეარჩევენ პერსპექტიულ, კარგი მონაცემების მქონე ბავშვებს.

მწვრთნელების მიერ სპორტული ჯგუფებისთვის შერჩეული ბავშვები დაჯილდოვდებიან თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სიგელებით.

## არის ახალი სპორტული ბაზა!

**ახლახან** გარდაბნის სპორტულ ბაზებს კიდევ ერთი, ახალი სპორტული ნაგებობა შეემატა. რაიონული თბოელექტროსადგურის დასახლების ტერიტორიაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა საცურაო აუზი. ჩატარდა პირველი შეჯიბრებებიც, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების მოსწავლეები. ასპარეზობა მიეძღვნა სახელოვან თარიღს — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავს.

● ● ●

**სურათებზე: საცურაო აუზის გახსნისას; პირველი სტარტები.**

**მ. როსტიაშვილის** ტექსტი და ფოტო.

# ვაჟა კაჭარავა

## აწმყო, შობილი წარსულისაგან

**ფრენბურთს** უცნაური ბედი დაჰყვა ჩვენში: ჯერ გულში ჩავიხუტეთ, გავითავისეთ, ლამის ქართულ სახეობად ვაქციეთ, საუცხოო ოსტატებიც გავზარდეთ, მერე... ეს კარგი ტრადიცია თვალსა და ხელს შუა დავკარგეთ. აქეთ ვეცით, იქით ვეცით, მაგრამ დაკარგულს ველარ მივაგენით, ვერ ვიპოვეთ და ბოლოს, როგორც ზოგჯერ გვჩვევია, გაწბილებულებმა და იმედგაცრუებულებმა უიმედოდ ჩავიქნიეთ ხელი. ახლა სხვა ვარსკვლავის დევნას შევუდექით: — ეს ხელბურთიო, ეს რეგბიო, ეს კარატეო. მაგრამ ფრენბურთი ვერაფერმა შეცვალა. მისი ადგილი რაკი ერთხელ დაცარიელდა, დღემდე ვაკანტური რჩება.

ასეთია ის თავისებური ოდისეა, უნდა ითქვას, ჭკუის სასწავლებელი და, ჩვენს შემთხვევაში, საბედისწერო, რომელიც საქართველოში გადახდა ფრენბურთს. არადა, ეს სახეობა სულაც არ არის არც მივიწყების, არც დაქვეითების ღირსი. ჩემს თავს უფლებას მივცემ გავიხსენო ერთი ეპიზოდი, რომელიც მოწმობს, რაოდენ პოპულარულია ფრენბურთი მსოფლიოში. თავის დროზე დავწერე წერილი „ვარნის ოქროს შემოდგომა“ 1970 წელს ბულგარეთში გამართულ ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე. რამდენმა წელმა განვლო მას შემდეგ და მეხსიერებიდან ჯერაც არ ამოშლილა განუმეორებელი, თავბრუდამხვევი და ზედმიწევნით აზარტული მატჩების პერიპეტიები. მანამდე, ესე იგი ამ ჩემპიონატამდე, ჩემს თავს ფრენბურთის მაინცდამაინც დიდ ქომაგად არ მივიჩნევდი. მაგრამ საკმარისი იყო მენახა დიდი, ნამდვილი ფრენბურთი და იქიდან მოყოლებული ნებისმიერი რანგის ტურნირი მიზიდავს, სადაც კი ბადეგაბმული და სარბიელზე გამოსული ექვსი სპორტსმენი თითქოს წარმოუდგენელი სისხარტით, მოხერხებითა და თავგანწირვით ცდილობს გამარჯვების მოპოვებას.



თუმცა, მსოფლიო ფრენბურთის პრობლემების გადაწყვეტას ჩვენ არავინ გვეკითხება. ეს ისე, სიტყვამ მოიტანა, რათა მიახლოებით მაინც გვეჩვენებინა, რომ ფრენბურთი სპორტის არც ერთ სახეობას არ მოუხრის ქედს, რადგანაც არ ჩამოუვარდება მათ არც ათლეტიზმით, არც ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალით, არც მახვილგონივრული კომბინაციებით და, თუ გნებავთ, არც სანახაობრივი თვალსაზრისით. თუ მისი მიმდევრებისა და თაყვანისმცემლების დათვლას მოვინდომებთ, მაშინ უთუოდ ასტრონომიულ ციფრებს უნდა მივმართოთ.

მთელ ამ ისტორიაში ყველაზე საგულისხმო და სამწუხარო ის არის, რომ დღესდღეობით საქართველოში ფრენბურთის დაცვა გვიხდება და მისი სრულუფლებიანი მოქალაქეობის სტატუსის დამკვიდრებას ვქადაგებთ. არა, ჩვენ მაინც ოპტიმისტები უნდა ვიყოთ, რეალისტები და ოპტიმისტები. რა ვუყოთ, თუ რეალური სურათი ჩვენი ფრენბურთისა და ოპტიმისტური განწყობილება დღეს ვერ ეთანხმება ერთმანეთს. ხვალ-ზეგ ეს სურათი უთუოდ შეიცვლება, რადგანაც სპორტული ჯიში მოგვდგამს, თავმოყვარეობაცა გვაქვს, ვიცით დაფაცურება მაშინ მაინც, როცა უკანასკნელი ხიდიც დამწვარია და ჩვენს გარდა ჩვენსავე ეროვნულ საქმეს ვერავინ მოუვლის.

სხვისი არ ვიცი და მე ჩემდათავად იმედიანად ვარ განწყობილი. ვიცი, ჩვენი ფრენბურთის წლობით, შეიძლება ითქვას, ათეული წლობით დაქვეითებული საქმე დღეს-ხვალ ვერ გამოსწორდება, რადგანაც სასწაულებისა მარტო სუსტი ნებისყოფის ხალხს სჯერა. ჩვენ უნდა შევუდგეთ ალმართს, თან წინასწარ შევემზადოთ სიძნელეებისათვის, მარცხისათვის, რაც ყოველი ახალი საქმის, მით უმეტეს, ექსპერიმენტის განუყრელი თანამგზავრია. მაგრამ ნებისმიერი ექსპერიმენტი საფუძველს უყრის მომავლის მკვიდრ შენობას. ჩვენს ფრენბურთს კი ასეთი შენობა, სადაც იგი თავს შეაფარებდა და თავის აწეწილ-დაწეწილ საქმეებს დაალაგებდა, ძალიან სჭირდება. თუნდაც მოგვიანებით, არა ამჟამინდელი, მაგრამ მომდევნო საკავშირო სპარტაკიადისათვის მაინც. და უნდა გამოჩნდეს, აუცილებლად უნდა გამოჩნდეს ჩვენს ფრენბურთში ისეთი ადამიანები, რომლებსაც პროფესიული ოსტატობის გარდა საქმის უსაზღვრო სიყვარული და პატრიოტული გრძნობაც ექნებათ. მათ უნდა შთაბერონ ფრენბურთს ახალი სულისკვეთება, გაალვივონ მინავლებული კერა, გამოაწრთონ მართვეები დიდი სიმაღლეების დასაპყრობად... და განა ეს მარტოოდენ ფრენბურთს სჭირდება, განა ბევრი ოდესღაც პოპულარული სახეობა ჩვენში ასეთივე ან დაახლოებით მსგავს მდგომარეობაში არ არის? მაგრამ ნუ გამოვეკიდებით ერთად მრავალ პრობლემას და დღეს ფრენბურთზე ვისაუბროთ. რაც შეეხება ზემოთქმულს, ის ჩვენი წერილის თავისებურ შესავლად ვიგულოთ, თუმცა მას, ამ შესავალს, პირდაპირი კავშირი აქვს საუბრის თემასთან. დღეს მინდა გიამბოთ ერთ საინტერესო კაცზე, რომელიც საქართველოში დაბრუნდა მხოლოდ და მხოლოდ ქართული ფრენბურთის ინტერესების გამო. თავის დროზე საქართველომ იგი წარგზავნა მოსკოვში, რათა მრავალი წლის შემდეგ ისევ დაებრუნებინა რუსეთის ფედერაციის, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი. ბაუმანის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, დოცენტი, სწავლული, რომელმაც ერთი შეხედვით პარადოქსული თემა აირჩია დიპლომისათვის — ერთმანეთს დაუკავშირა სპორტი და ინჟინერია. მისი სახელი მოსკოვში გამგზავრებამდეც კარგად იცოდნენ ქართული ფრენბურთის თაყვანისმცემლებმა. ეს არის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, თბილისის „ბურევესტნიკის“ ყოფილი მოთამაშე ვაჟა კაჭარავა.

მისი დაბრუნება ერთობ სიმბოლურად გვესახება. მშობლიურ რესპუბლიკას და ქართულ სპორტს დაუბრუნდა ადამიანი, რომელიც მოესწრო ჩვენი ფრენბურთის აღზევებასაც და დაქვეითებასაც, ვისთვისაც არაფერი ისე ახლობელი არ არის, როგორც ქართული ფრენბურთის უმაღლესი ინტერესები, ვისაც მთელი ამ წლების მანძილზე გული სტკიოდა იმის გამო, რომ სპორტის ეს სახეობა ჩვენში ვერა და ვერ გასწორდა წელში.

* * *

ჩვენი საუბარი, თუ შეიძლება ითქვას, მდორედ, დინჯად, თითქოს „არაქართული“ ემოციებით მიედინება. არადა, თემა საუბრისა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ზედმიწევნით მწვავეა და საინტერესო. მაგრამ საუბრის მონოტონური ტონი მოჩვენებითია, სინამდვილეში იგი შინაგანი სიმძაფრითა და დინამიზმითაც არის დამუხტული. ჩემი თანამოსაუბრე სამშობლოში ხელცარიელი არ ჩამოსულა. მან თან ჩამოიტანა „ათას ერთი“ გეგმა, პროექტი, ჩანაფიქრი, რომლებიც ისევ და ისევ ქართული ფრენბურთის პრობლემატიკას, მის დღევანდელ და უფრო მეტად ხვალინდელ დღეს ეხება.

ზოგიერთი პროექტი სპეციალისტს ან მეტისმეტად პრაგმატისტულად მოაზროვნე ადამიანს ოდნავ ფანტასტიკურადაც კი შეიძლება მოეჩვენოს, მაგრამ მე ერთი წუთითაც არ მავიწყდება, რომ ჩემს წინ ზის ძველი „ბაუმანისტი“, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული, დოცენტი, რომელსაც არც რეალიზმი აკლია, არც ზომიერი პრაგმატიზმი და, მით უმეტეს, არც ლოგიკური, ზუსტი აზროვნების უნარი. აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ვაჟა კაჭარავა დღესდღეობით ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია ფრენბურთში, წლების მანძილზე წვრთნიდა ბაუმანის ინსტიტუტის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდს, კარგა ხნის განმავლობაში კი — საბჭოთა კავშირის II ნაკრებს და იუნიორთა გუნდს. ასე რომ, ამ კაცს არაფერი ეშლება, ყველაფერი აფთიაქარის სასწორითა აქვს აწონილი და... სჯერა, მტკიცედ სჯერა ქართული ფრენბურთის ხვალინდელი დღისა, მისი ხელახალი აღზევებისა და წინსვლისა.

ფრენბურთის სამყაროში გატარებულმა თითქმის ოცდაათმა წელმა მას ბევრი რამ ასწავლა. მარტო ფრენბურთის თამაში არა. მან ისწავლა, როგორ უნდა დააღწიონ თავი მოთამაშემ და გუნდმა უმძაფრეს კრიზისს, როგორი ორგანიზაცია სჭირდება გუნდს, რანაირი ფსიქოლოგიური თუ ტაქტიკური მომზადება, თვით სადიპლომო თემაც კი, როგორც ითქვა, მათემატიკის, სხვა ტექნიკური დარგებისა და ფრენბურთის დამოკიდებულებას ეძღვნებოდა. მან იცის, ალბათ, ისე როგორც არავინ, რით დაავადდა და რატომ ქართული ფრენბურთი მაშინ, როცა ამას თითქოს არავინ ელოდა; იცის, რატომ იმარჯვებდა საქართველოს გუნდი სერიოზულ ტურნირებში, ხოლო ერთ სპარტაკიადაში მესამე ადგილზეც კი გავიდა; იცის, რამ გაფლანგა ჩვენი ფრენბურთის ერთი შეხედვით უშრეტი პოტენციალი და რად დაიკარგა შუა გზაზე თაობათა ესტაფეტა...

მან ბევრი, ძალიან ბევრი მაღალი კლასის ფრენბურთელი გამოზარდა, მათ შორის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები. მის აღზრდილ სპორტის ოსტატობის კანდიდატებს თვლა არა აქვს; დიდ სარბიელზე გამოიყვანა თორმეტი სპორტის ოსტატი, ერთი საერთაშორისო კლასის ოსტატი, ერთი სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ეს — რაც დღევანდელ დღეს შეეხება. მაგრამ სპორტსმენის ბიოგრაფიაში დღევანდელ დღესთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წარსულსაც, უფრო სწორად, უპირატესობა წარსულს ენიჭება. ეს სავსებით გასაგებია და არავითარ დასაბუთებას არ მოითხოვს. ვაჟა კაჭარავას სპორტული ბიოგრაფია კი ისეთი გახლავთ, ბევრს რომ არ ექნება. თუმცა, გვიჭირს ყველაფერი თანამიმდევრულად გადმოგცეთ. ამაში თვით ვაჟა კაჭარავა დაგვეხმარება.

„...ფრენბურთთან დაკავშირებული ინფორმაცია მოულოდნელად მივიღე. ეს იყო ორმოცდაათიანი წლების დამდეგს. მაშინ სოფელ აბაშაში ვისვენებდი, სადაც ზაფხულობით ჩავყავდი მშობლებს. ერთ მშვენიერ დღეს ჩემმა კბილა ბიჭმა ალეკო ჩოჩიამ ფრენბურთის თამაშის წესები გვასწავლა. თურმე ქვიშხეთში ისვენებდა, იქ რუსთაველის თეატრის მსახიობების —ეროსი მანჯგალაძის, გოგი გეგეჭკორის, კოტე მახარაძისა და სხვათა თამაში უნახავს და ასე გაუგია, რა არის ფრენბურთი. აი, ამ გზით მოვიდა ჩემამდე სპორტის ის სახეობა, რომელსაც შემდგომ სამუდამოდ დავუკავშირდი. შეიძლება ითქვას, იგი ჩემი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჭეშმარიტ მოწოდებადაც იქცა. შესაძლოა, საინტერესო იყოს ერთი ასეთი დეტალი: იმხანად ფრენბურთს საქართველოში ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. იგი, როგორც ვთქვი, მსახიობების, კერძოდ, რუსთაველის თეატრის დასის საყვარელი თამაშიც ყოფილა. საინტერესოა, რომ მაგალითად, მოსკოვშიც ეს თამაში თავდაპირველად „მხატის“ მსახიობებს დაუმკვიდრებიათ.

ასე შემოვიდა ფრენბურთი ჩვენს წრეში, სადაც მანამდე ძირითადად კალათბურთს, ფეხბურთსა და ჭადრაკს მივდევდით. ახლაც მახსოვს ჩვენი პირველი „მასწავლებლის“ ალეკოს გაკვეთილები, მაგალითად, მან აგვიხსნა ფრენბურთში ეგრეთ წოდებული მოკლე დარტყმის თეორია. ასეთი გაკვეთილები კაცს არასოდეს ავიწყდება“.

მაგრამ ვაჟა ფრენბურთს ერთბაშად მაინც არ გაჰყოლია. ადვილი არ იყო ძველი გატაცების უარყოფა. მას იზიდავდა ფეხბურთი, ოცნებობდა მეკარეობაზე. ფიზიკურად სუსტი ყმაწვილის მისწრაფება სპორტისადმი, სიჯანსაღისა და მხნეობის სამყაროსადმი, სავსებით ბუნებრივი იყო. მამამისი, ძველი შევარდენისტი, პროფესიით ექიმი, ყოველნაირად ახალისებდა და მხარს უჭერდა შვილის მისწრაფებას, მაგრამ მაინც წინააღმდეგი იყო მეკარეობისა. მიუხედავად იმისა, რომ კაჭარავების მეზობლად ცხოვრობდა განთქმული მეკარე ვალტერ სანაია. მამა ფიქრობდა, კარში დგომა სახიფათო საქმეაო. ნუღარ გამოვეკიდებით იმას, რამდენად სწორი იყო ეს შეხედულება, მაგრამ ყოველივე ისე გადაწყდა, არც მამა დარჩენილა უკმაყოფილო, არც შვილი. საქმეში ჩაერია... ფრენბურთი.

ყველამ ვიცით, ბავშვობაში რა დიდი გავლენა აქვს ჩვენზე თანატოლების მისწრაფებას. თანაკლასელებმა ისე დაუხატეს ფრენბურთი ვაჟას, ისე აუწერეს მისი რომანტიკა, რომ მან „ცდუნებას“ ვერ გაუძლო და ნაცნობი ბიჭების თანხლებით ფრენბურთის სექციას მიაკითხა. იმხანად ეს სექცია ვარჯიშობდა... ყოფილი ეკლესიის შენობაში. ასე იპოვა ნიჭიერმა მწვრთნელმა შოთა მარგიშვილმა მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი.

ამბობენ და სწორადაც ამბობენ, ნამდვილ ნიჭს ვერავითარი დაბრკოლება, ვერაჭითარი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორები ვერ შეაჩერებსო. იგი, ეს ნიჭი, ჩვეულებრივ კალაპოტს არ ეძებს, პოულობს სხვა, დანარჩენებისათვის უცხო მიმართულებას და შეუნელებლად ვითარდება. ცხადია, დიდ შრომასთან და ჯაფასთან ერთად, რადგანაც შრომისმოყვარეობაც ნიჭის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი გახლავთ, თუ საერთოდ, უმთავრესი და გადამწყვეტი არა. ყოველ შემთხვევაში, ვაჟა კაჭარავა ფრენბურთში ფეხშედგმისთანავე ჭიანჭველასავით მშრომელ და დაუღალავ სპორტსმენად იქცა. ესეც, როგორც უკვე ვთქვით, ჭეშმარიტი და არა მოჩვენებითი ნიჭიერების ერთი მკაფიო გამოვლინებაა. ამ შრომამ, ნიჭთან ერთად, ვარჯიშის დაწყებიდან უკვე ერთი წლის შემდეგ, ანუ 1953 წელს, იგი საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის ძირითად მოთამაშედ აქცია. გაივლის კიდევ ორი წელიწადი და ვაჟა კაჭარავას, 18 წლის ყმაწვილს, უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე თბილისის „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში ვიხილავთ.

1956 წელი უდიდესი მოვლენა იყო საბჭოური სპორტული მოძრაობის ისტორიაში. ამ წელს დასაბამი მიეცა გრანდიოზულ შეჯიბრებას — საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებს. პირველივე სპარტაკიადაში მონაწილეობის პატივი საქართველოს ასობით წარგზავნილთან ერთად რესპუბლიკის ფრენბურთელთა ნაკრების წევრს ვაჟა კაჭარავასაც ხვდა.

„ეს წელი — მიამბობს ვაჟა კაჭარავა, — გადამწყვეტი აღმოჩნდა ქართული ფრენბურთისათვის. ახლა, ამდენი წლის შემდეგ, იგი მაგონებს თავისებურ გზაჯვარედინს, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, საით, რა გზით ივლიდა ჩვენი ფრენბურთი. საქმე ისაა, რომ პირველი სპარტაკიადისათვის საქართველოს ნაკრებს ამზადებდა ფრენბურთის დიდი სპეციალისტი, მოსკოველი გივი ახვლედიანი. რესპუბლიკის ფრენბურთის ბედ-იღბალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო იმაზე, დარჩებოდა თუ არ დარჩებოდა ჩვენს გუნდთან სპარტაკიადის შემდეგაც ეს უნიჭიერესი მწვრთნელი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს იმედებს ცივი წყალი გადაესხა და გივი ახვლედიანი სხვადასხვა მიზეზის გამო საქართველოში აღარ დარჩენილა. ეს იყო „ფარული დარტყმა“, რომლის შედეგები გვიან, 1963 წელს გამოჩნდა.

მაგრამ სპარტაკიადის შემდეგ ვერავინ ამჩნევდა ფრენბურთის ცაზე რაიმე ღრუბელს. გუნდი უმაღლეს ლიგაში თამაშობდა, „ბურევესტნიკი“ (ასე იწოდებოდა თბილისის „ლოკომოტივი“ უმაღლეს ლიგაში დაბრუნების შემდეგ) აერთიანებდა ზედმიწევნით ნიჭიერ ფრენბურთელებს (კუკური მუსხელიშვილი, იგორ ბოიკო, თამაზ კუჭავა, დავით გოცირიძე, ალიკ ჟიგულინი, სტანისლავ ბუინოვი, ვლადიმერ გავრილენკო, იაგო მეხანაშვილი, როლანდ ლონლაძე, ედუარდ ობიტკო...), თითქოს არც სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება გვაკლდა. ქართულ ფრენბურთს სამომავლოდ თითქოს შეუნელებელი განვითარების მტკიცე საძირკველიც ჰქონდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იყო ილუზია და ჩვენ მესამე სპარტაკიადის შემდეგ, სადაც ბრინჯაოს მედლებიც კი მოვიპოვეთ, ბოლომდე ვიწვნიეთ იმედგაცრუება. ჩვენს თვალწინ ერთბაშად დაიშალა წვითა და დაგვით ნაშენები ქართული ფრენბურთის ოდესღაც მძლავრი მოძრაობა. 1964 წელს „ბურევესტნიკმა“ უმაღლესი ლიგა დატოვა. მანამდე ჩვენ ვთამაშობდით თვითმყოფად, გამორჩეული ხელწერის ფრენბურთს, არავის ვგავდით და, მით უმეტეს, არც ვბაძავდით. ეს იყო მხოლოდ ჩვენებური ფრენბურთისათვის ნიშანდობლივი სტილი. დღეს ქართულ ფრენბურთს ასეთი გამორჩეული სტილი აღარა აქვს, ყოველ შემთხვევაში, მისი აშკარა უკმარობა იგრძნობა“.

აი, მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს იმ ფრენბურთელის ბიოგრაფია, რომელიც, საერთო აღიარებით, ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იყო საბჭოთა ფრენბურთის ისტორიაში. წერილის მიღმა დარჩა ურიცხვი დიდი თუ მცირე შეჯიბრება, ტურნირი, უმძაფრესი მატჩები ქვეყნის, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში. მან ღირსეულად განვლო თავისი სპორტული გზა, რომელიც თბილისში დაიწყო (აქვე დაამთავრა მე-12 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე) და მოსკოვში დაასრულა. ახლა კი — ისევ მშობლიური ქალაქი, ისევ ოდინდელი სპორტული სტიქია, ისევ დებიუტანტისათვის ნიშანდობლივი მღელვარება და აზარტი. დებიუტანტისა? დიახ, ნუ გაგიკვირდებათ, ვაჟა კაჭარავა ყველაფერს თავიდან იწყებს ქართული ფრენბურთის საკეთილდღეოდ.

**არჩილ ბოგელია.**

---



**„ბაზალეთისა ტბის ძირას**
**ოქროს აკვანი არისო,**
**და მის გარშემო, წყლის**
**ქვეშე,**
**უცხო წალკოტი ჰყვავისო“.**

ეს სტრიქონები დიდ ილიას ალბათ პირველ რიგში ბაზალეთის ტბისა და მისი შემოგარენის სილამაზემ დააწერინა. ლექსში ჩაქსოვილი ღრმა აზრიც შემთხვევით არ დაუკავშირა ბაზალეთის ტბას და საქართველოს მრავალრიცხოვან ტბათა შორის სწორედ ეს აირჩია „ოქროს აკვნის“ სჯვანედ.

— ბაზალეთის ტბა „ერის ცრემლიაო“, — ამბობს მგოსანი. მრავალტანჯულ საქართველოს არც ცრემლის ღვრა დაჰკლებია და არც სისხლისა. ალბათ, მართლაც ერთი დიდი ტბა დაგუბდებოდა (და აკი დაგუბდა კიდეც) ძაძით მოსილ დიაცთა თვალთაგან მონაწური ცრემლისა...

ახლა ბაზალეთის ტბა თბილისელთა, დუშელთა, მცხეთელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილია.

შაბათ-კვირას მის ლამაზ ნაპირებზე სოკოებივით მომრავლდება ხოლმე ფერად-ფერადი კარვები. თბილისში რომ პაპანაქებაა, იქ ნელი სიო ქრის, წყალიც საამურად გრილია, ბაზალეთური თევზი კი შემწვარიც გემრიელია და მოხარშულიც... რა სჯობია ანკესით დაჭერილ თევზს იქვე რომ ააშიშხინებ, კოცონზე!...

ბაზალეთის ტბის სანაპიროზე დიდი ტურისტული ბაზაა. საიდან არ ჩამოდიან აქ ტურისტები, მიდის და მოდის მილეთის ხალხი...

ეს ფოტო ამას წინათ გადავიღე ბაზალეთის ტბაზე. ჩვეულებრივი მზიანი კვირა დღე იყო. სიცხისაგან შეწუხებული და არა ოქროს აკვნის საძებნელად ამოსული დედაქალაქელები სულს ითქვამდნენ (თუნდაც ორიოდ დღით, ორიოდ საათით), ტბის სარკისებრ ზედაპირზე ნავები და წყლის ველოსიპედები დაცურავდნენ...

**თ. ჟეიშვილი.**

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

# თამაშს კომისია შეაფასებს

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციამ და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ სპორტის მრავალრიცხოვანი მოყვარულის წინადადებით გადაწყვიტა ექსპერიმენტის სახით შექმნას საზოგადოებრივი კომისია, რომელიც შეაფასებს მინდორზე ფეხბურთელთა მოქმედებას ხუთბალიანი სისტემით. ასეთი კომისიები შეიქმნა მოსკოვში (20 კაცის შემადგენლობით), კიევსა და თბილისში (10-10). კომისიებში შევიდნენ წარსულში ცნობილი ფეხბურთელები, მწვრთნელები, მსაჯები, სპეციალისტები, სპორტული ჟურნალისტები, საზოგადოებრივი მოღვაწეები, აგრეთვე, მსაჯი-ინსპექტორი. თამაშს შეაფასებს 5-კაციანი კომისია, ცალკეულ მოთამაშეთა შეფასება (ქულები) დაჯამდება, რის შემდეგაც გაირკვევა საშუალო შეფასებისა, რომელიც გამოქვეყნდება პრესაში.

თბილისის საზოგადოებრივ კომისიაში შედიან: სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის თავმჯდომარე **ნ. ჩხატარაშვილი**, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის გამგე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ბაქანიძე**, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკური კომისიის თავმჯდომარე, თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის მასწავლებელი **ზ. გოგიაშვილი**, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექტორი **ბ. პაიჭაძე**, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ავტოტექმომსახურების სადგურის დირექტორი **ს. კოტრიკაძე**, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ოსტატთა გუნდების განყოფილების უფროსი **გ. ანთაძე**, გაზეთ „ლელოს“ ფეხბურთის განყოფილების გამგე **რ. ქორქია**, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის მასწავლებელი **ა. გუკასიანი**, სპორტული ჟურნალისტი **ვ. მდივანი**, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ საკუთარი კორესპონდენტი **გ. აკოფოვი**.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქაირათი“ | 32 | 18 | 9 | 5 | 56—30 | 45 |
| ასკ რ. | 31 | 16 | 11 | 4 | 54—26 | 43 |
| „როტ.“ | 32 | 18 | 4 | 10 | 47—33 | 40 |
| „კოლ.“ | 32 | 14 | 12 | 6 | 53—33 | 40 |
| „ფაკ.“ | 32 | 14 | 11 | 7 | 35—23 | 39 |
| „მეტ.“ | 32 | 14 | 8 | 10 | 47—33 | 36 |
| „ყუბ.“ | 32 | 13 | 10 | 9 | 48—34 | 36 |
| ასკ ლ. | 31 | 12 | 11 | 8 | 35—32 | 35 |
| „ტავრ.“ | 32 | 12 | 9 | 11 | 59—51 | 33 |
| „ზარია“ | 32 | 12 | 9 | 11 | 53—45 | 33 |
| „კუზბ.“ | 32 | 11 | 11 | 10 | 40—38 | 33 |
| „დაუგ.“ | 31 | 11 | 7 | 13 | 41—46 | 29 |
| „ისკრა“ | 31 | 11 | 6 | 14 | 34—29 | 28 |
| „შინ.“ | 31 | 10 | 7 | 14 | 34—57 | 27 |
| „ლოკ.“ | 32 | 9 | 9 | 14 | 41—39 | 27 |
| „პამ.“ | 31 | 9 | 9 | 13 | 31—43 | 27 |
| „დნეპ.“ | 31 | 8 | 11 | 12 | 32—48 | 27 |
| „გურია“ | 31 | 12 | 2 | 17 | 36—61 | 26 |
| ასკ ხ. | 32 | 8 | 10 | 14 | 23—39 | 26 |
| „ზვეზ.“ | 31 | 8 | 9 | 14 | 38—46 | 25 |
| „ტექს.“ | 31 | 5 | 10 | 16 | 30—59 | 20 |
| „დინ.“ | 32 | 4 | 11 | 17 | 25—47 | 19 |

## I ლიგა

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:2 (0:0). მსაჯი ა. გორინასი. 3000 მაყურებელი. გოლები გაიტანეს: ლანჩხუთელმა ჩხაიძემ (51-ე წუთზე) და სიმფეროპოლელებმა ბარანოვმა (70) და ბონდარენკომ (83).

# ისნება ფეხბურთის მსაჯთა მოსამზადებელი სკოლა

**საქართველოს** სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრა 1983 წლის ოქტომბრიდან ხსნის ფეხბურთის მსაჯთა მოსამზადებელ სკოლას. სკოლის კურსდამთავრებულნი მომსახურებას გაუწევენ თბილისის რაიონებისა და საქალაქო ჩემპიონატებს, სხვა ტურნირებს. ისინი, ვინც მსაჯობის დროს მიიღებენ მაღალ შეფასებას, შემდგომში რეკომენდებული იქნებიან რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრების მომსახურებაზე.

სწავლების ვადაა 2 წელი და მიზნად ისახავს I კატეგორიის მსაჯების მომზადებას. სკოლაში მიიღებიან ნებისმიერი განათლების მსურველნი (35 წლის ასაკამდე).

მეცადინეობა ჩატარდება კვირაში ორჯერ (შაბათ-კვირა) 10-დან 14 საათამდე (ოქტომბერი—ივლისი).

ყველა მეცადინეობის დასასრულს მოეწყობა ორმხრივი თამაში ან საერთო ფიზიკური მომზადების ვარჯიში.

სკოლაში ჩაირიცხებიან ყოველწლიურად — სექტემბერ-ოქტომბერში.

ზაფხულის თვეებში სკოლის მსმენელები იმსაჯებენ სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებს. ჩატარებულ მატჩებს თვითონვე აღრიცხავენ თავიანთ დღიურში, სადაც შეიტანენ მეთოდურ სიძნელეებს, აგრეთვე აღნიშნულ მატჩებზე დამსწრე უფრო კვალიფიციურ მსაჯთა შენიშვნებს.

ფეხბურთის მსაჯთა სკოლაში ისწავლება შემდეგი დისციპლინები: ფეხბურთის თამაშის წესები, მსაჯობის მეთოდიკა, სპორტის (ფეხბურთის) ისტორია, ფსიქოლოგია.

სწავლების პერიოდში ტარდება თეორიული მეცადინეობები (192 საათი). აქ არ შედის კონსულტაციები და პრაქტიკული მსაჯობის საათები. სწავლების პირველი წლის ბოლოს ტარდება გამოცდები, ხოლო სწავლების დამთავრებისას — საკვალიფიკაციო გამოცდა სათანადო მსაჯობის კატეგორიის მინიჭებით.

ფეხბურთის მსაჯთა სკოლის მსმენელთათვის ეწყობა საგანგებო ტესტირება, რომელიც მიზნად ისახავს მსმენელის ინტელექტუალური დონის დადგენას, შექმნილი სიტუაციის სწრაფი შეფასებისა და სწორი გადაწყვეტილების გამოტანის უნარს. აგრეთვე ფიზიკური მომზადების დონეს.

ფეხბურთის მსაჯთა სკოლის მსმენელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ თბილისის, რესპუბლიკის და საკავშირო თამაშების მსაჯობის შემოწმებულ მეთოდურ გარჩევებში. სკოლის მსმენელებს საკავშირო თამაშებზე დასასწრებად მიეცემათ ბილეთები შეღავათიან ფასებში (10 კაპ).

სწავლის პერიოდში სკოლის მსმენელები შეხვდებიან თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს, საზოგადოებრივ და სპორტის მოღვაწეებს.

ფეხბურთის მსაჯთა სკოლა მიიღებს განცხადებას სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებების მომსახურებაზე ფიზკულტურის ძირეული კოლექტივებიდან, თბილისის რაიონული ფიზკულტურული კომიტეტებიდან, სპორტულ საზოგადოებათა რაიონული და საქალაქო ორგანიზაციებიდან.

ფეხბურთის მსაჯთა მოსამზადებელ სკოლაში მეცადინეობებს ჩაატარებენ გამოცდილი პედაგოგები: პროფესორი ა. ციბაძე, დოცენტი გ. დვალი, დოცენტი ა. გუკასიანი, დოცენტი ზ. თელია, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კ. ყრუაშვილი, საკავშირო კატეგორიის მსაჯები ნ. ჩხატარაშვილი, ო. ჟორდანია, ი. ბოჭორაძე, მ. მიმინოშვილი, ნ. ამირაჯიბი, გ. გვანცელაძე, პედაგოგი თ. რატიანი და სხვები.

ფეხბურთის მსაჯთა სკოლაში ჩარიცხვის მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრაზე, ყოველდღე 14 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე (გარდა კვირისა) — 12-დან 16 საათამდე. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

**გ. ბაქანიძე,**
**ფეხბურთის კათედრის გამგე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**

---

**გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.**

## I ჯგუფი

### აღმოსავლეთი ზონა

**„ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „კახეთი“ (თელავი) 2:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).**

ბურთი გაიტანეს წვერავამ და არქანიამ.

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ავტომობილისტი“ (თბილისი) 1:1. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).**

გოლები: ელიაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და კახიშვილი.

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „სამგორი“ (გარდაბანი) 1:1. მსაჯი ბ. ჩერნიახოვსკი (სოხუმი).**

გოლები: ფარულავა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) და ახობაძე.

**„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:0. მსაჯი ო. კბილაშვილი (ქუთაისი).**

მიმდინარე სეზონში პირველად გაიმარჯვეს რკინიგზელმა ფეხბურთელებმა. ბურთები გაიტანეს: კაველიძემ, აირაპეტიანმა და აზატოვმა.

**„მადნეული“ (ბოლნისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:0. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).**

**„ქართლი“ (გორის რაიონი) — „ივერია“ (ხაშური) 3:2. მსაჯი შ. თომაშვილი (მცხეთა).**

**„შევარდენი“ (თბილისი) — „თორი“ (ბორჯომი) 3:0. მსაჯი ბ. ჩერნიახოვსკი (სოხუმი).**

ორი ბურთი გაიტანა ქობელაშვილმა, ერთი — ბანცურმა.

**„სპარტაკი“ (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 5:1. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).**

გოლები: ამირეჯიბი (2), შეყლაშვილი, მიგინეიშვილი, ჯიშიაშვილი („სპარტაკი“) და ნიჟარაძე.

### დასავლეთი ზონა

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).**

ბურთი გაიტანა ლაბაძემ.

**„იმერეთი“ (წულუკიძე) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 2:1. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).**

გოლები: ბერძენიშვილი, კუპრავა („იმერეთი“) და სევასტოპულო.

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 2:0. მსაჯი ზ. ჯინჯარაძე (მახარაძე).**

ბურთები გაიტანეს სილაგაძემ და მხატვარმა.

**„ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 5:3. მსაჯი გ. კობიაშვილი (გორი).**

გოლები: ჭიკაშუა (2), კუტალაძე, ქლენტი, გიორგაძე („ბახმარო“), კაჭარავა, ქაცარავა, ბალუშვილი.

**„კოლხეთი“ (ხობი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 5:1. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).**

ოთხი ბურთი გაიტანა ხობელმა ქომეთიანმა, ერთი მოსიავამ, საპასუხო ბურთის ავტორია მურვანიძე.

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 5:3. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).**

გოლები: ნაჭყებია (2), ჯიქია, მალანია, დანილოვი („დინამო“) და ოჩამჩირელი ჭითანავა (3).

**„სამგურალი“ (წყალტუბო) —**

## საქართველოს პირველობა

**„საირმე“ (მაიაკოვსკი) 3:1. მსაჯი ზ. ჯინჯარაძე (მახარაძე).**

გოლები: გორგოძე, სვანიძე, ხარაბაძე („სამგურალი“) და ფაიქიძე.

**„შუქურა“ (ქობულეთი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი გ. კობიაშვილი (გორი).**

გოლები: ღონღაძე (ქობულეთი) და ლაბაძე.

**„მალაროელი“ (ჭიათურა) — „მზიური“ (გალი) 1:2. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).**

ორი ბურთი გაიტანა გალელმა ქანთარიამ. ჭიათურელმა ერაძემ პენალტით ერთი გოლი გაქვითა.

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „დინამო“ (გაგრა) 2:0. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).**

**„შუქურა“ (ქობულეთი) — „მზიური“ (გალი) 1:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).**

გოლები: ღონღაძე („შუქურა“) და ქანთარია.

**„კოლხეთი“ (ხობი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 1:1. მსაჯი შ. თომაშვილი (მცხეთა).**

პირველ ნახევარში მოდებაძის მიერ გატანილი გოლი შესვენების შემდეგ პენალტით გაქვითა ხობელმა ქომეთიანმა.

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:2. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).**

გოლები: ყურაშვილი, ბალუშვილი („ეგრისი“) და ჭითანავა, როსტობაია.

**„სულორი“ (ვანი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 4:2. მსაჯი გ. კობიაშვილი (გორი).**

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 17 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალ.“ | 25 | 14 | 6 | 5 | 52-22 | 34 |
| „კახეთი“ | 24 | 14 | 6 | 4 | 44—20 | 34 |
| „ჰერეთი“ | 25 | 13 | 8 | 4 | 46—26 | 34 |
| „ავტომ.“ | 25 | 11 | 9 | 5 | 38—22 | 31 |
| „არმაზი“ | 25 | 12 | 5 | 8 | 40—39 | 29 |
| „შევარ.“ | 24 | 10 | 9 | 5 | 34—17 | 29 |
| „ივერია“ | 24 | 11 | 5 | 8 | 36—31 | 27 |
| „მადნ.“ | 24 | 11 | 5 | 8 | 41—24 | 27 |
| „დურ.“ | 23 | 10 | 7 | 6 | 43—32 | 27 |
| „სპარ.“ თ. | 25 | 8 | 9 | 8 | 50—40 | 25 |
| „თორი“ | 24 | 8 | 9 | 7 | 30—31 | 25 |
| „სამგ.“ | 25 | 7 | 11 | 7 | 34—30 | 25 |
| „სპ.“ ცხ. | 24 | 11 | 2 | 11 | 49—45 | 24 |
| „პოლ.“ ი. | 23 | 3 | 13 | 7 | 27—40 | 19 |
| ფიზკ. ინ. | 25 | 7 | 4 | 14 | 27—39 | 18 |
| „ქართლი“ | 24 | 3 | 9 | 12 | 30—62 | 15 |
| „ალაზ.“ | 24 | 5 | 2 | 17 | 34—60 | 12 |
| „ლოკომ.“ | 25 | 1 | 1 | 23 | 15—90 | 3 |

### დასავლეთი ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამგურ.“ | 27 | 15 | 6 | 6 | 51—26 | 36 |
| „დინ.“ ზგ. | 27 | 15 | 5 | 7 | 50—33 | 35 |
| „სულ.“ | 27 | 14 | 5 | 8 | 45—32 | 33 |
| „მზიური“ | 27 | 14 | 5 | 8 | 41—28 | 33 |
| „საპოვ.“ | 26 | 12 | 8 | 6 | 43—24 | 32 |
| „ამირანი“ | 28 | 12 | 7 | 9 | 51—58 | 31 |
| „სქური“ | 28 | 12 | 6 | 10 | 37—42 | 30 |
| „მალარ.“ | 28 | 10 | 7 | 11 | 42—38 | 27 |
| „კოლ.“ | 27 | 8 | 11 | 8 | 42—45 | 27 |
| „სამეგრ.“ | 25 | 11 | 4 | 10 | 43—32 | 26 |
| „დინ.“ გ. | 27 | 10 | 6 | 11 | 40—48 | 26 |
| „სალხ.“ | 26 | 8 | 9 | 9 | 37—46 | 25 |
| „ბახმ.“ | 28 | 9 | 6 | 13 | 26—39 | 24 |
| „იმერ.“ | 27 | 8 | 8 | 11 | 41—41 | 24 |
| „ეგრისი“ | 27 | 8 | 7 | 12 | 39—46 | 23 |
| „მეტალ.“ | 27 | 7 | 9 | 11 | 43—39 | 23 |
| „საირმე“ | 26 | 8 | 5 | 13 | 32—39 | 21 |
| „შუქურა“ | 27 | 5 | 8 | 14 | 36—58 | 18 |

**შენიშვნა: ზუგდიდის „ენგურის“ გუნდი მოხსნილია გათამაშებიდან. დარჩენილ მატჩებში მის მეტოქეებს ჩაეთვლებათ მოგებები.**

## II ჯგუფი

### აღმოსავლეთი ზონა

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:0, „იბერია“ (ქარელი) — „განთიადი“ (კასპი) 3:1, „მაშავერა“ (დმანისი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 4:0, „არაგვი“ (ქინვალი) — „იმედი“ (რუსთავი) 3:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „ზარზმა“ (ადიგენი) 4:2, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:1, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ალგეთი“ (მარნეული) 2:0.

### დასავლეთი ზონა

„შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „ოდიში“ (ზედა ეწერი) 0:0, „ავიატორი“ (სოხუმი)—„ნარუჯა“ (მახარაძე) 7:2, „რაჭა“ (ამბროლაური) —„ავტომობილისტი“ (აბაშა) 1:1, „ხვამლი“ (ცაგერი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 4:2, „კოლმეურნე“ (გულრიფში) — „კოლმეურნე“ (დვაბზუ) 2:2, „ნაპერწკალი“ (ოქუმი) —„სენაკი“ (ცხაკაია) 2:1.

#### 11-მეტრიანი

#### უდისციპლინოთა კარში

განზრახ უხეში თამაშისათვის მინდვრიდან გააძევეს მაიაკოვსკის „საირმეს“ ფეხბურთელი ა. ვარდანიძე, ხოლო თანაგუნდელები თ. ფაიქიძე და ე. გელაშვილი გააფრთხილეს (კომიტეტის თავმჯდომარე ს. ფერაძე).

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ვინც წესრიგს უნდა იცავდეს...

უცხოეთის ქვეყნებში ხშირად ეწყობა საფეხბურთო მატჩები, სადაც მონაწილეობენ ბანკის მუშაკებისგან, კორესპონდენტებისგან, პოლიციელებისგან, არბიტრებისგან შემდგარი გუნდები და, როგორც მიმომხილველებმა დაადგინეს, წესრიგის დარღვევით ყველაზე უფრო გამოირჩევიან სწორედ ისინი, ვისი მოვალეობაცაა მინდორზე დისციპლინისა და წესრიგის დაცვა.

ამ რამდენიმე ხნის წინ ერთმანეთს შეხვდა პოლიციელთა 2 გუნდი. მეტი უმსგავსოება, რაც ამ მატჩის დროს იყო მინდორზე, ძნელი წარმოსადგენიცაა. წესრიგის დამცველები თამაშის დროს პირდაპირ მუსრს ავლებდნენ ერთმანეთს და იმდენად ბურთს არ დასდევდნენ, რამდენადაც მეტოქეს.

სულ ახლახან ინგლისის ქალაქ პრესტონში ერთმანეთს შეხვდნენ ფეხბურთის არბიტრთაგან შემდგარი გუნდები. მოთამაშე არბიტრებმა პირწმინდად დაივიწყეს თამაშის წესები, რის გამოც 2 მათგანი თამაშიდან გააძევეს, 10-ს ყვითელი ბარათი აჩვენეს. ამას გარდა, დიდი ჯაფა დაადგა სტადიონის სამედიცინო პერსონალს.

### ფეხბურთი და ბიზნესი

როგორც ინგლისელი მიმომხილველი ფ. ტეილორი წერს, მარცხით დასრულდა ზოგიერთი ცნობილი ფეხბურთელის ცდა ბიზნესმენი გამხდარიყო.

ქ. ჯონსმა, რომელიც 20 წლის განმავლობაში ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში“ თამაშობდა და უელსის ნაკრებშიც გამოდიოდა, ერთბაშად 4 დუქანი იყიდა, მაგრამ საბოლოოდ სრულიად გაკოტრდა. ბიზნესმენის თვისებები მას არ აღმოაჩნდა.

დ. ლოუმ, რომელიც თავის დროზე ევროპის „ოქროს ბურთის“ ლაურეატი იყო, ერთხანს ხალიჩების ფაბრიკა გაიჩინა. ეს წამოწყება სრული მარცხით დამთავრდა და ფეხბურთელი მაინც ძველმა სახელმა იხსნა: იგი ტელეკომენტატორი გახდა, კარგად აითვისა ეს პროფესია და დღესაც ტელევიზიაში მუშაობს.

### „ბიბლიური ფეხბურთი“

ასე ეწოდება სამაგიდო თამაშს, რომელმაც ბოლო ხანებში დიდი გავრცელება ჰპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ თამაშის წესები ფეხბურთისას ეფუძნება, მაგრამ ბიბლიური მას იმიტომ ჰქვია, რომ არბიტრის როლში გამოდის იესო ქრისტე, წმინდა პეტრე — მეკარეა, იუდა კი მინდორზე ისე იქცევა, რომ იგი უდავოდ მოწინააღმდეგის მხრივაა მოსყიდული.

### ზედიზედ 50 მატჩი

ესპანეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ზედიზედ 50 მატჩი ჩაატარა „რეალ სოსიედადის“ მეკარემ ლუის მიგელ არკონადამ. ამით არკონადამ გააუმჯობესა ბილბაოს „ატლეტიკოსა“ და ესპანეთის ეროვნული ნაკრების მეკარის ა. ირიბარის ძველი რეკორდი (მან ნაკრების კარი უცვლელად დაიცვა 49 მატჩში).

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

ეროვნული ბიბლიოთეკა



როგორც ვიუწყებოდით („ლელო“ №169, 172), დიდოსტატმა ნინო გურიელმა შთამბეჭდავად გაიმარჯვა საჭადრაკო ფესტივალ „როხია-83“-ის ქალთა XVIII საერთაშორისო ტურნირში.

„ლელოს“ კორესპონდენტი შეხვდა თბილისელ დიდოსტატს, მიულოცა დიდი წარმატება და ინტერვიუ ჩამოართვა.

● **დიდი შთაბეჭდილება დატოვა თქვენმა ენერგიულმა წინსვლამ, თითქოს თამაშის მაშვრალი იყავით.**

— მართლაც, ძალიან მწყუროდა თამაში, რადგან თითქმის ორი წელია ტურნირში არ მიმიღია მონაწილეობა. ამჯერად 5 ტურის შემდეგ 4,5 ქულა მქონდა, მომდევნო 6 ტურში 5 ქულა მოვაგროვე და მეტოქეთათვის მიუწვდომელი აღმოვჩნდი. ერთხანს როცა სტარტზე ზედიზედ ოთხი პარტია მოიგო, ნატალია ალიოხინა მომყვებოდა, მაგრამ კოზლოვსკაიასთან წაგების შემდეგ იგი მხოლოდ საერთაშორისო ოსტატის (7 ქულა) ნორმის შესრულებაზე ფიქრობდა. მიზანს მიაღწია, მაგრამ საბოლოოდ 2 ქულით ჩამომრჩა მე 13-დან 10,5 ქულა დავაგროვე.

● **რას იტყვით ირინა ლევიტინაზე, რომელთანაც ალიოხინამ მეორე-მესამე ადგილები გაიყო?**

— ამ შემოდგომაზე ლევიტინა უნდა შეხვდეს ნანა ალექსანდრიას პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში. ეს ალბათ ერთგვარად ბორკავდა მას, თუმცა მაინც ლაღად თამაშობდა. ლევიტინას, ისევე როგორც მე, პარტია არ წაუგია. მასთან მატჩი ადვილი არ იქნება.

კოზლოვსკაიას, დანარჩენი პარტიები ყაიმით დაამთავრა.

პერსპექტიული მოჭადრაკე გახლავთ ვარშაველი ბრუსტმანი. მე მას პოლონეთშიც შევხვედრივარ. იგი აცხობს, რომ მსოფლიო პირველობის მომავალი ციკლის საზონათშორისო ტურნირში პრეტენდენტობისთვის იბრძოლებს, მაგრამ ჩვენს ტურნირში მან სამი პარტია წააგო და მხოლოდ ორი მოიგო. უნგრეთის ჩემპიონმა ჩონჩიკმაც ორი პარტიის მეტი ვერ მოიგო, ხუთი წააგო. სხვები მათზე ძლიერ ვერ თამაშობდნენ.

# შემტევ სტილში

## „ლელოს“ ინტერვიუ

● **თქვენი აზრით, ვინ შეხვდება ერთმანეთს პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში?**

—გადაწყვეტით ძნელია ამის თქმა, მაგრამ, ჩემი აზრით, ორივე ნანას — ალექსანდრიასა და იოსელიანს, შეუძლიათ ფინალში გასვლა, როგორც პირველობის გათამაშების წინა ციკლში. ისინი მეტოქეებს არაფერში ჩამოუვარდებიან, პირიქით, სჯობიან კიდეც, მაგრამ ყველაფერს გადაწყვეტს შეხვედრის დროს ნერვების მდგომარეობა, განწყობა და მომზადების დონე და სილრმე.

● **რას იტყვით სოჭის ტურნირის უცხოელ მონაწილეებზე?**

— გამოცდილებით გამოირჩეოდა რუმინელი დიდოსტატი ბაუმშარკი. მან მხოლოდ ლევიტინასთან და ჩემთან წააგო. მოუგო

ჩემი აზრით, უცხოელი მოჭადრაკეები საერთოდ ცუდად როდი არიან მომზადებულნი, მაგრამ საბჭოთა ოსტატებს მაინც ჩამოუვარდებიან. მაგალითად, ახალგაზრდა ლენინგრადელმა ოსტატმა ტატიანა რუბცოვამ საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულა, მაშინ როცა სტუმართაგან ასეთ შედეგს ვერავინ შეწვდა.

● **შემოქმედებით თუ ხართ კმაყოფილი?**

—რა თქმა უნდა, შემეძლო უფრო დახვეწილად თამაშიც, მაგრამ ყველა შეხვედრას შემტევი სტილით, რისკიანად ვატარებდი. აი, ერთი მაგალითი.

**ზაიცევა — გურიელი**

**ინგლისური დასაწყისი**

1. c4 e5 2. მc3 d6 3. g3 g6 4. კg2 კg7 5. e3 მf6 6. მge2 0—0 7. 0—0 c6 8. d4 ეe8 9. h3 e4 10. d4 d5 11. c5 h5 12. a4 კf5 13. b5 მh7 14. მფh4 მg5 15. მg1 მd7 16. კd2 მf6 17. a5 a6 18. b×c6 b×c6 19. მa4 ლc7 20. მb6 ეa7 21. მფh1 მფh7 22. ლe2 h4 23. g4 კe6 24. ეfb1 ეh8 25. მa4 მფg8 26. ლd1



26. ...კ×g4 27. h×g4 h3 28. f4 e×f3 29. კ×f3 h2 30. კe1 h×g1ლ+ 31. მფ×g1 ლh2+ 32. მფf1 ლh3+ 33. კg2ლ×e3 34. კd2 ლd3+ 35. ლe2 ლ×e2+ 36. მფ×e2 ეe7+ 37. მფd3 მe6 38. g5 მh5 39. ეb8+ მფh7 40. ე×h8+ მფ×h8 41. ეh1 მ×d4 42. მb6 მფg8 43. კh3 მb3 44. კe3 d4 45. კf2 მf4+ 46. მფc4 მd2+ 47. მფb4 მd3+.

თეთრები დანებდნენ.

● **თქვენი უახლოესი შეჯიბრება.**

— მიწვეული ვარ სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატის ფინალში, რომელიც დეკემბერში ოდესაში ჩატარდება. მასში აუცილებლად ვითამაშებ.

● ● ●

**ს უ რ ა თ ზ ე: ნინო გურიელი.**
**ა. კოტორაშვილის ფოტო.**

● **კალათბურთი**

# დაუმარცხებლად...

**უნგრეთის** ქალაქებში ზაალაეგერსეგში და მიშკოლცში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა გუნდების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. საბჭოთა კალათბურთელებმა დარჩენილი ორი შეხვედრაც მოიგეს გფრ-ის გუნდთან — 115:56 (60:22) და იტალიელებთან — 83:53 (34:33), საბოლოოდ დაუმარცხებლად დაიკავეს პირველი ადგილი ქვეჯგუფში. მეორე ადგილზე გავიდნენ ბულგარელები, რომლებსაც 4 მოგება და 1 წაგება აქვთ. მიშკოლცში ასევე დაუმარცხებლად იბრძოდნენ იუგოსლავიელი კალათბურთელები, რომლებმაც დაძაბულ ბრძოლაში შესარჩევი შეჯიბრების ბოლო დღეს დაამარცხეს უნგრელები — 60:57. აქ მეორე ადგილზე გავიდა უნგრეთის გუნდი, რომელსაც 4 მოგება და 1 დამარცხება აქვს. ამრიგად, ნახევარფინალური წყვილები ასე გამოიყურება: სსრ კავშირი — უნგრეთი, იუგოსლავია — ბულგარეთი. გამარჯვებული გუნდები ერთმანეთთან შეხვედრაში დღეს გაარკვევენ კონტინენტის ჩემპიონის ვინაობას.

● **ჭადრაკი**

# ასე ფიქრობს კასპაროვი

ამ დღეებში 20 წლის ბაქოელ გარი კასპაროვს, რომელიც „1982 წლის № 1 მოჭადრაკე ვაჟად“ აღიარეს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან ერთად გადაეცემა საჭადრაკო „ოსკარი“. გთავაზობთ კასპაროვის ინტერვიუს ცნობილ იუგოსლაველ საჭადრაკო მიმომხილველ დიმიტრიე ბელიცასთან, რომელიც ზაგრების გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტიში“ გამოქვეყნდა.

— **გჯერათ თუ არა, რომ შედგება თქვენი მატჩი კორჩნოისთან და ფიდე-ს მორიგი კონგრესი მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას?**

— დიახ, მჯერა და მიმაჩნია, რომ კონგრესი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. ფიდე ხომ მხოლოდ პრეზიდენტ კამპომანესისაგან არ შედგება. იქ არაერთი ადამიანია, რომელთაც მართებული დადგენილება უნდა მიიღონ. ეს გადაწყვეტილება გამოასწორებს მდგომარეობას, რომელიც ახლა ჭადრაკის სამყაროში შეიქმნა.

— **რას ფიქრობთ ნიკშიჩის სუპერტურნირზე?**

— კმაყოფილი ვარ, რომ ესოდენ კარგ „ფორმაში“ აღმოვჩნდი. ეს იყო მეტად ძლიერი ტურნირი, რომელიც საბრძოლო სულისკვეთებით ჩატარდა. გულახდილად უნდა გითხრათ — წინასწარ დარწმუნებული ვიყავი, რომ პირველ ადგილს დავიკავებდი.

— **რას აქცევდით ყურადღებას თქვენი მზადების დროს?**

— მე უამრავი პარტია გავარჩიე. ამავე დროს დიდ ყურადღებას ვაქცევ ფიზიკურ მომზადებას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. სპასკი, მაგალითად, მისი საკუთარი განცხადებით, ყოველდღე თამაშობს ჩოგბურთს.

— **ადრე ჩვენთან საუბარში განაცხადეთ, რომ ძალიან მაღალი აზრისა ხართ ფიშერზე. გჯერათ თუ არა, რომ იგი ჭადრაკს დაუბრუნდება?**

— ფიშერი მე ალიოხინსა და კერესთან ერთად უძლიერესად მიმაჩნია ჭადრაკის ისტორიაში. სამწუხაროდ, იგი მე პირადად არ მინახავს, თუმცა მისი მრავალი პარტია შევისწავლე. იგი უდიდესი მოჭადრაკეა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ჭადრაკს დაუბრუნდეს. ფიშერს ხომ უკვე 11 წელია არსად უთამაშია.

— **შარშან თქვენ ბუგოინოს სუპერტურნირში გაიმარჯვეთ. გაისად აქ ერთხელ კიდევ უნდა ითამაშოთ კარპოვთან ერთად.**

— მე დიდი სიამოვნებით მივიღე ეს მიწვევა. ბუგოინოში, ისევე როგორც ახლა ნიკშიჩში, დავრწმუნდი, რომ იუგოსლავია ნამდვილად საჭადრაკო ქვეყანაა. მოხარული ვარ, რომ ბუგოინოში მსოფლიოს ჩემპიონ კარპოვთან ერთად ვითამაშებ.

— **ბევრს მიაჩნია, რომ მსოფლიოს მომდევნო, რიგით, მეცამეტე ჩემპიონი თქვენ გახდებით. როგორ ფიქრობთ, როდის მოხდება ეს?**

— კარპოვი უდიდესი მოჭადრაკეა. მე მას კარგა ხანია არ შევხვედრივარ. ვფიქრობ, რომ ჩემი მატჩი მასთან, ახლა რომ ჩატარდეს, მეტად საინტერესო იქნება საჭადრაკო სამყაროსათვის.

**სერბულ-ხორვატულიდან თარგმნა**

**გ. გამრეკელმა.**

● **მშვილდოსნობა**

# უფრო მეტი შემართებით

**სარატოვში** დამთავრდა „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს პირადი ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის, ბაიკალისპირეთის, ოდესის, დასავლეთ ყაზახეთის, ვოლგისპირეთის, შუა აზიისა და ამიერკავკასიის რკინიგზების საგზაო საბჭოების სპორტსმენებმა.

ქალთა ასპარეზობაში თბილისელთაგან არავის მიუღია მონაწილეობა, სამაგიეროდ ვაჟთა შორის კარგად გამოვიდა დედაქალაქის 164-ე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე, სპორტის ოსტატი ვ. რეშეტოვი. მან რთულ ოლიმპიურ ვარჯიშში, რომელიც ოთხ დღეს გრძელდება, 2.323 (1.211+1.112) ქულა მოაგროვა და მეოთხე საპატიო ადგილი დაიკავა. ეს შედეგი 43 ქულით აღემატება ოსტატის ნორმატივს. გვახარებს ისიც, რომ ვადიმმა მ-2 ვარჯიშის პირველ წრეში (1.211 ქულა) ოსტატის მოთხოვნას 61 ქულით გადააჭარბა და მეორე ადგილზე გავიდა.

სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია სამი მესამე ადგილი, რომლებიც პერსპექტიულმა მშვილდოსანმა დაიკავა 70 (576 ქულა, 300+276), 50 (585, 306+279) და 30 (670, 340+330) მეტრზე ორჯერად სროლაში.

შედეგის ზერელე ანალიზიც გვიჩვენებს, რომ ვადიმს კარგ ნასროლებთან ერთად აქვს საშუალოც, ე. ი. სტაბილურობა აკლია. სწორედ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭიროა მეტი გულმოდგინე, სისტემატური შრომა.

**რ. კაცობაშვილი.**

# წყალკალათბურთი?

**ჰელსინკის** სტუმარს მასპინძლები, როგორც ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას, უთუოდ აჩვენებენ დიდი ფინელი კომპოზიტორის სიბელიუსის მონუმენტს, რომლის ავტორი ეილა ჰილტუნენი გახლავთ.

მონუმენტის დადგმის მერე ჰილტუნენს მრავალი შეკვეთა გაუგზავნეს როგორც სამშობლოდან, ისე უცხოეთიდან.

მართლაც ორიგინალური ნამუშევარია, მაგრამ იქვე, მონუმენტიდან სულ რაღაც ოთხმოციოდე მეტრის დაშორებით თვალი მოვკარი ფრიად საინტერესო რამეს, რომელმაც სიბელიუსის ქანდაკებაზე ნაკლებად როდი აღმიძრა ცნობისმოყვარეობა.

იმას, რაც მონუმენტის მახლობლად ვნახე, სტუმარს არ აჩვენებენ. ან როგორ უნდა აჩვენონ, როცა მგონი ჰელსინკელებსაც კი არ შეუმჩნევიათ სანიჩბოსნო სადგურთან, წყლის მოსარკული ზედაპირიდან ამომართული... კალათბურთის ფარები.

ვიდრე ჩემი კოლეგები სიბელიუსის მონუმენტის ფონზე სამახსოვრო სურათების გადაღებით იყვნენ გართულნი, მე იმ კალათბურთის ფარების დასათვალიერებლად გადავირბინე.

ფარები ერთმანეთის პირისპირ ისე დაეყენებინათ პონტონებზე, როგორც ჩვეულებრივი კალათბურთის მოედანზე. მათი სიმაღლე წყლის ზედაპირიდან 3 მეტრი იქნებოდა, სარბიელის ზომა კი დაახლოებით იმხელა იყო, როგორიც წყალბურთელებისაა.

რა არის ეს, სპორტის ახალი სახეობის სარბიელი თუ დელფინების საატრაქციონო არენა, სადაც ჭკვიანი ზღვის ცხოველები წყალში კალათბურთის თამაშით აოცებენ მნახველს?

სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი გიდმა ვერ გაგვცა და არც ახლო-მახლო ჩანდა ვინმე, რომ ჩვენი ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა.

ერთი რამ ცხადია — ფინეთის ყურეში დელფინები არ ბინადრობენ და ისინი არც არავის ჩამოუყვანია და მოუშენებია.

აშკარაა, რომ საოცარ სარბიელზე ადამიანები ეპაექრებიან ერთმანეთს სპორტის ახალ სახეობაში, რომელიც კალათბურთისა და წყალბურთის შერწყმისა თუ ევოლუციის შედეგად წარმოიშვა.

არ ვიცი, თავად მოთამაშეებმა როგორ მონათლეს მათ მიერ გამოგონილი სპორტის ახალი სახეობა, მაგრამ ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ „წყალკალათბურთი“.

ვინ იცის, იქნებ სპორტის ეს სახეობა ფინელებზე ადრე სხვებმა გამოიგონეს, მით უმეტეს, რომ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ გამოცემაში წავიკითხე ამგვარი თამაშის შესახებ. ეს კი არადა, მოცურავეების სახელგანთქმული მწვრთნელი ლენინგრადელი ი. კოშკინი თავის აღსაზრდელებს ხშირად ათამაშებს წყალკალათბურთს.

მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ჰელსინკში წყალკალათბურთისათვის საგანგებო სარბიელი არსებობს, ფრიად საინტერესოა.

სხვათა შორის, ფინელები კალათბურთს საერთოდ მოგვიანებით გაეცნენ. ამ ქვეყანაში კალათბურთის არსებობა გაიგეს „ახალგაზრდა ქრისტიანთა მსოფლიო ასოციაციის თამაშების“ მონაწილეთაგან, რომლებიც კოპენჰაგენიდან დაბრუნდნენ. 1936 წელს ბერლინში გამართული ოლიმპიური თამაშების შემდეგ ფიზიკური აღზრდის სპეციალისტმა ნ. ფაბრიციუსმა გერმანიიდან ჩამოიტანა კალათბურთის მოედნის მაკეტი, წესები და დაიწყო...

ფინეთმა 1967 წელს უმასპინძლა კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატს, სადაც მასპინძლებმა VI ადგილი დაიკავეს. ფინელებმა ასეთივე შედეგს მიაღწიეს მომდევნო (1969 წ) ჩემპიონატზეც. ეს მათი საუკეთესო შედეგი იყო.

ფინელები ოლიმპიურ თამაშებზე გამოვიდნენ ორჯერ და აქედან საუკეთესო შედეგს (XI ადგილი) 1964 წელს მიაღწიეს.

ეს არის და ეს.

ამ ქვეყნის სპორტსმენები ვერც წყალბურთის კარგი თამაშით დაიკვეხნიან.

ვინ იცის, იქნებ მომავალში წყალკალათბურთმა მსოფლიო სპორტის სამყაროში აღიარება მოიპოვოს და ფინელებმა ამ სახეობაში აიღონ რევანში.

**ა. გურასაშვილი.**

* * *



**ს უ რ ა თ ზ ე: წყალკალათბურთის ერთ-ერთი ფარი ჰელსინკის ყურეში.**

**ავტორის ფოტო.**

**გუშინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 38-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 49“-დან:** 3 (ბობსლეი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 36 (საავიაციო სპორტი), 42 (წყალსათხილამურო სპორტი), 44 (მოტოსპორტი), 49 (შაში).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 12 (ტანვარჯიში), 17 (ციგურაობა), 28 (ტყვიის სროლა), 29 (სასტენდო სროლა), 33 (ფეხბურთი).

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე—07748